საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-431

07/06/2018

ქ. თბილისი

ქ. ყვარლის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. ყვარლის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს მტკნარი წყლის მოპოვებას. წიაღითსარგებლობის ობიექტს წარმოადგენს ერთი ჭაბურღილი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა შეადგენს 250 000 $м^3$-ს წელიწადში. წიაღითსარგებლობის ობიექტის სავარაუდო სიღრმე-5 მეტრი. ჰორიზონტის წყლების სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. წყლის გამოყენება შესაძლებელია სამეწარმეო დანიშნულებით. წყლის ტემპერატურა შეადგენს 13,5 ^{0}C-ს.

წიაღითსარგებლობის ობიექტი ქ. ყვარელიდან დაშორებულია დაახლოებით 3კმ-ით, მდინარე ბურსადან 430 მ-ით, უახლოესი დასახლებული პუნქტიდან სოფ. სანავარდოდან დაშორებულია 193 მ-ით, ხოლო უახლოესი სალიცენზიო ობიექტიდან 235 მ-ით. წიაღითსარგებლობის ობიექტი განთავსებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე.

სალიცენზიო ჭის ზუსტი დებიტი უცნობია, ვინაიდან მისი საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის, ამიტომ 250000 $м^3$/წელიწადში რაოდენობის წყალი წარმოდგენილია p (პროგნოზული) კატეგორიით. მიწისქვეშა წყლებზე სამეწარმეო დანიშნულებით ლიცენზიის გაცემის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 25 წელი.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. ჭაბურღილის მიმდებარე ტერიტორია საჭიროებს დასუფთავებას. წიაღითსარგებლობის ობიექტების ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია, ხოლო ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის. საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში ნარჩენების წარმოქმნა და ხმაურის გავრცელება მოსალოდნელი არ არის.

საქმიანობის განხორცილების პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ავარიული სიტუაციები და კატასტროფები არ იქნება მოსალოდნელი. პროექტის

განხორციელების შემთხვევაში კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

საქმიანობა არ არის დაგეგმილი შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე. ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების და ასევე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 №1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ წარმოდგენილი ყვარლის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ყვარელის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი